საზოგადოებრივ-პოლიტიკური
დამოუკიდებელი გაზეთი

599-908-918
599-233-390

E-mail: gazetirustavi@gmail.com,
gazetirustavi@mail.ru

რუსთავი

გაზეთი
გამოდის
1948 წლიდან

31
აგვისტო 2024 წ.
№6
(109758)
ფასი 50 თეთრი

ნინო ლაცაბიძე, რუსთავის მერი

ჩვენ ყოველთვის ვაფიქსირებთ, რომ ისტორია არის ის, რაზეც უნდა დავაშენოთ ჩვენი მომავალი და ქალაქის ახალი განვითარება

გვ.-4

მოსახლეობის თხოვნით კიდევ ერთი შიდასაუბნო რეკრეაციული სივრცის მოწყობა იწყება

გვ.-2

რუსთავში მოსახლეობის ჩართულობით შექმნილი კიდევ ერთი პროექტი ხორციელდება

გვ.-3

რუსთავის მერია ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკვერის რეაბილიტაციას იწყებს

გვ.-3

პროექტის ფარგლებში „რუსთავის კორპუსის“ 44 თანამშრომელი გადამზადდა

გვ.-2

რუსთავის მერია გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენებული კულტურის სახლის სრულ რესტავრაცია-რეაბილიტაციას გეგმავს

გვ.-8

რუსთავი: გასული დღეების ქრონიკა

რუსთავის მერია, ქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარე მასშტაბური პროექტის მონიტორინგს აგრძელებს

ნინო ლაცაბიძე: - ჩვენ დავპირდით მოსახლეობას და რუსთავის მაჟორიტარ დეპუტატთან, ირაკლი შატაკიშვილთან ერთად, ვაგრძელებთ რუსთავის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე პროექტების მონიტორინგს. ჩვენ ბოლომდე გავაგრძელებთ აქტიურ მონიტორინგს, რომ რუსთავისთვის ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა საბოლოოდ დავძლიოთ.

,,ჯივიპიმ» რუსთავში კიდევ ერთი მსხვილი პროექტი - გაგარინის და მშვიდობის ქუჩების მონაკვეთის რეაბილიტაცია დაასრულა.

წყალმომარაგების კომპანია, გაგარინის ქუჩაზე განახლებული ქსელის დაერთებით სამუშაოებს ატარებს, რის შედეგადაც წყალმომარაგება 12 000 აბონენტს გაუუმჯობესდება.

სამუშაოების მიმდინარეობას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე და საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

გაგარინისა და მშვიდობის ქუჩების დამაკავშირებელი მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაციის ფარგლებში 2 კმ-მდე სიგრძის წყალსადენის ქსელი განახლდა, დამონტაჟდა 16 ჩამკეტ- მარეგულირებელი ურდული, მოეწყო 13 საკვანძო ჭა.

რუსთავის წყალმომარაგების გაუმჯობესების გრძელვადიანი პროექტი უკვე მესამე წელია რაც მიმდინარეობს, ინვესტიციის სრული ოდენობა 60 მილიონი ლარია

პროექტის ფარგლებში „რუსთავის კორპუსის“ 44 თანამშრომელი გადამზადდა

ნინო ლაცაბიძე: - ჩვენი გუნდისთვის, ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი მიმართულება თანამშრომლების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაა

რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრმა, ,,თანამშრომელთა გადამზადებისა და პროფესიული ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში, ,,რუსთავის კორპუსის“ 44 თანამშრომელი გადაამზადა.

სპეციალური ტრენინგ-კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები ,,რუსთავის კორპუსის“ თანამშრომლებს ქალაქის მერმა ნინო ლაცაბიძემ და საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ წევრ თამარ გოგაძესთან ერთად გადასცეს.

ტრენინგ-მოდული “მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომები” წინასწარი კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავდა და ეფექტური კომუნიკაციის, გამოწვევების, რთული სიტუაციების მართვის, ლიდერობისა და გუნდური მუშაობის ძირითად პრინციპებსა და საკითხებს მოიცავდა.

საქართველოს მუნიციპალიტეტებში პირველი მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრი, რუსთავის მერიამ დააფუძნა. ცენტრი სხვადასხვა დარგის მოწვეულ სპეციალისტებთან და ექსპერტებთან ერთად, მუნიციპალური მომსახურების თითქმის ყველა სფეროში გეგმავს და ამზადებს რეფორმებს. რუსთავის მერიაში მუნიციპალური სერვისების რეფორმა ორი წელია რაც მიმდინარეობს.

ცენტრის მიზანი, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება-მოდერნიზაციასთან ერთად, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის რუსთავში გატარებული რეფორმების ფარგლებში დაგროვილი პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების გაზიარებაა.

რუსთავის მერია პირველი მუნიციპალიტეტი იქნება საქართველოში, რომელიც თანამედროვე სერვისებისა და რეფორმების შესახებ დაგროვილ გამოცდილებას უახლოეს მომავალში სხვა მუნიციპალიტეტებს ტრენინგების ფორმით გაუზიარებს.

ნინო ლაცაბიძემ და ირაკლი შატაკიშვილმა მოსახლეობას ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკვერის რეაბილიტაციის პროექტი გააცნეს

მოსახლეობის თხოვნით კიდევ ერთი შიდასაუბნო რეკრეაციული სივრცის მოწყობა იწყება

მე-7 მიკრორაიონში №12 და №15 კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე დაწნეხილი ბეტონის ფილებით მოპირკეთებული საფეხმავლო ბილიკების, საბავშვო ატრაქციონების და მწვანე დასასვენებელი ზონის მოწყობაა განსაზღვრული.

მოსახლეობასთან შეთანხმებით, ახალ რეკრეაციაში, საბავშვოგასართობის გარდა, სპორტულ- გამაჯანსაღებელი სივრცეც გაკეთდება.

აქვე განთავსდება რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი ერთ-ერთი ქანდაკებაც.

ახალი საზოგადოებრივი სივრცის პროექტი რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ და რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა მოსახლეობას ადგილზე გააცნეს.

სკვერის მოწყობის სამუშაოები რამდენიმე დღეში დაიწყება.

რუსთავში მოსახლეობის ჩართულობით შექმნილი კიდევ ერთი პროექტი ხორციელდება

ახალი რეკრეაციული და საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც მე-14 მიკრორაიონის №№6, 47 და 48 საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოში ეწყობა, რუსთავის მერიის დაფინანსებით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ჩართულობით ხორციელდება.

სამუშაოების მიმდინარეობას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე მოადგილე ბესიკ ტოგონიძესთან, ინფრასტრუქტურის სამსახურის და ,,რუსთავის კორპუსის'' წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე გაეცნო.

პროექტით საფეხმავლო ბილიკების, მწვანე სივრცეების, საბავშვო მოედნის, ფანჩატურების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხის, გარე განათების და პარკირების ზონის მოწყობაა გათვალისწინებული.

მოსახლეობის თხოვნით, ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის ორი სხვადასხვა პროექტი შეიქმნა.

გასულ წელს, რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ ადგილობრივ მოსახლეობას ორივე პროექტის პრეზენტაცია წარუდგინა და რუსთავის ბიუჯეტიდან ის პროექტი დაფინანსდა, რომელსაც მოსახლეობამ მიანიჭა. უპირატესობა.

სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება.

რუსთავის სპორტის სასახლეში ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რუსთავის სპორტის სასახლეში, ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი - ,,ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის» გაიმართა.

ღონისძიებაში სტუდენტები, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ფორუმი რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ გახსნა. შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გივი მიქანაძემ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემელაძემ, პარლამენტარმა გიორგი ჩაკვეტაძემ, რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი დოხტურიშვილმა.

ფორუმი პანელური დისკუსიის ფორმატში წარიმართა. ღონისძიების მონაწილეებმა განსაზღვრეს თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის. იმსჯელეს **2023-2026** წლებისთვის სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის განხორციელებაში ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაძლიერებაზე, ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის, სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის, ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსების საკითხებზე.

ღონისძიების ფარგლებში კენჭი უყარეს ასევე რეზოლუციის პროექტს - „ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის".

2024 წლის „ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი" თბილისის საკრებულოს, რუსთავის მერიის და პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ორგანიზებით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ახალგაზრდობის სააგენტოს და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მხარდაჭერით ჩატარდა. წელს ახალგაზრდული ფორუმი მეოთხედ გაიმართა.

რუსთავის მერია ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკვერის რეაბილიტაციას იწყებს

რითაც მოსახლეობისთვის მიცემულ კიდევ ერთ დაპირებას ასრულებს, - ამის შესახებ ნათქვამია რუსთავის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მწვანე სივრცის რეაბილიტაციის პროექტის დეტალები, რუსთაველებს ქალაქის მერმა ნინო ლაცაბიძემ და საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა გააცნეს.

პროექტის თანახმად **4300** კვ/მ ტერიტორიაზე ახალი საფეხმავლო ბილიკები, მწვანე სივრცე, დასასვენებელი ზონები და შადრევანი მოეწყობა.

— ჩვენი გუნდი ვასრულებთ მოსახლეობისთვის მიცემულ პირობას და რუსთავში ერთ-ერთი ცენტრალური მწვანე სივრცის რეაბილიტაციას ვიწყებთ. ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკვერში თავდაპირველად კომპანია „ჯი-ვი-პი" ჩაატარებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რადგან წყალსადენის სისტემაზე არსებულმა ხშირმა ავარიებმა საგრძნობლად დააზიანა სკვერის ინფრასტრუქტურა. დღეს მოსახლეობასთან ერთად შევთანხმდით რეაბილიტაციის პროექტის დეტალებზე, რასაც განახლების პროცესში აუცილებლად გავითვალისწინებთ, - განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

განახლებულ რეკრეაციულ სივრცეში რუსთავის ქორეოგრაფიულ კონკურს-ფესტივალ ,,ქართულის» ლოგოს იდენტური - მოცეკვავე წყვილის სკულპტურა და ჰამლეტ გონაშვილის ბიუსტი განთავსდება.

,,რუსთაველებისთვის ეს სკვერი ერთ-ერთი საყვარელი ადგილია, რადგან ჩვენი კულტურის კორიფეს ჰამლეტ გონაშვილის სახელს ატარებს. სამწუხაროდ ჰამლეტ გონაშვილის ბიუსტი, რომელიც აქ იყო განთავსებული, გარკვეული მიზეზების გამო დაზიანდა. დაიგეგმა ამ ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია, პროცესის დასრულების შემდეგ კი სკვერში აუცილებლად განთავსდება ჰამლეტ გონაშვილის ბიუსტი, ასევე დაიდგმება ფესტივალ ,,ქართულის" სიმბოლო - მოცეკვავე წყვილის სკულპტურა", - განაცხადა საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ირაკლი შატაკიშვილმა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკვერში რამდენიმე დღეში დაიწყება.

რუსთავში აგვისტოს ომიდან 16 წლისთავი აღნიშნეს

რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ და რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა, აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრებთან და ვეტერანებთან ერთად, გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

მემორიალთან ქალაქის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების» წევრები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც შეიკრიბნენ.

მოგვიანებით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა თბილისში, ვარკეთილში, ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის ეზოში, გვირგვინებით შეამკეს აგვისტოს ომში დაღუპული კაპრალის ვახტანგ გზირიშვილის და მისი დედის - მარინა გზირიშვილის საფლავები.

2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის შედეგად, რუსთაველი სამხედრო მოსამსახურეები — უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძე, კაპრალი ვახტანგ გზირიშვილი, სერჟანტი კახაბერ თავგორაშვილი, კაპრალი ლევან იოსებიძე, კაპრალი გიორგი ჯავახიშვილი და სერჟანტი ბესიკ კაპანაძე დაიღუპნენ.

ექვსივე მათგანი, გარდაცვალების შემდეგ, ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენითაა დაჯილდოებული.

რუსთაველ ოლიმპიელებს ფულადი ჯილდო გადაეცა

რუსთავის მერიამ რუსთაველ ოლიმპიელებს- ბრინჯაოს პრიზიორს ლაშა გურულს და მსოფლიოს ჩემპიონს ძიუდოში გიორგი სარდალაშვილს ფულადი ჯილდო გადასცა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა რუსთავში კონცერტით დასრულდა. რუსთავის პარკში მაყურებლის წინაშე თიკა Balanchine & New One წარდგნენ.

კონცერტის მიმდინარეობისას სცენაზე ღონისძიების განსაკუთრებული სტუმრები - ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, რუსთაველი სპორტსმენი ლაშა გურული და მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში გიორგი სარდალაშვილი მიიწვიეს. რუსთაველ ოლიმპიელებს რუსთავის მერიამ ფულადი ჯილდო **10 000 -10 000** ლარი გადასცა.

ღონისძიებას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი და ახალგაზრდული ფორუმის მონაწილე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

პატარა ფეხბურთელების წარმატება ჩვენი ქვეყნის და ქალაქის გამარჯვებაა

რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე და საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" წევრებთან და საფეხბურთო კლუბ ,,რუსთავის" დირექტორ ბაჩანა ცხადაძესთან ერთად, პატარა ფეხბურთელებს და მათ მშობლებს შეხვდნენ და წარმატებები უსურვეს.

საფეხბურთო კლუბ ,,რუსთავის» ახალგაზრდული გუნდი, რუსთავის მერიის დაფინანსებით, შემოდგომაზე ესპანეთში, პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს.

ტურნირი მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს, ესპანეთის ქალაქ სალოუში გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი კლუბების ახალგაზრდული გუნდები.

რუსთავის ვაჟ ფეხბურთელთა გუნდი **2022-2023** წლებში ელიტ ლიგის ორგზის გამარჯვებული გახდა — მოიგო Ateitis CUP 2022 Batumi და ბენდელას თასი.

ნინო ლაცაბიძე, რუსთავის მერი

ჩვენ ყოველთვის ვაფიქსირებთ, რომ ისტორია არის ის, რაზეც უნდა დავაშენოთ ჩვენი მომავალი და ქალაქის ახალი განვითარება

რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი 14 ქანდაკებიდან ერთ-ერთი სკულპტურა, ქალაქის ახლად რეაბილიტირებული ცენტრალური ხიდის დასაწყისში, ღია საგამოფენო სივრცის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდა.

ქანდაკება, სახელწოდებით - ,,ცეკვა ქართან ერთად", ბულგარელი სკულპტორის - ზდრავკო ზდრავკოვის ნამუშევარია.

ქანდაკების მონტაჟის პროცესს, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე და საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი ესწრებოდნენ.

,,წელს ჩვენმა გუნდმა რუსთავის ძალიან ლამაზი და კარგი ტრადიცია - მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი აღვადგინეთ. სიმპოზიუმის ფარგლებში შეიქმნა 14 უნიკალური ქანდაკება და მათგან ერთ-ერთი, რომელიც უცხოელ მოქანდაკეს ეკუთვნის, დღეს ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელი ახლად რეაბილიტირებული ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე განვათავსეთ. ეს ქანდაკება ძალიან შეესაბამება ამ ადგილს, რადგან როგორც თავად ავტორმა გვითხრა, ის განასახიერებს ძველის და ახლის გაერთიანებას. ჩვენ ყოველთვის ვაფიქსირებთ, რომ ისტორია არის ის, რაზეც უნდა დავაშენოთ ჩვენი მომავალი და ქალაქის ახალი განვითარება. ძველის და ახლის ჰარმონია, რაზეც თავად მოქანდაკე საუბრობდა, ვფიქრობ, სწორედ ეს გვაძლევს უფრო მეტ ძალას ქალაქის წინსვლის და განვითარებისთვის", - განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

სკულპტურა, რომელიც ორი სილუეტის სინთეზს ქმნის, ძველი და ახალი რუსთავის ერთიანობას განასახიერებს. ქალაქის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს დამაკავშირებელ ხიდთან კი მისი განთავსება, განსხვავებული არქიტექტურული სტილის არეალის ერთიანობას სიმბოლურად გამოხატავს.

საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ადამიანს ხელოვნების ნიმუშის საკუთარი აღქმა აქვს.

,,ჩვენს ქალაქში ივლისში ჩატარდა მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა მოქანდაკეებმა რუსთავში შექმნეს საკუთარი ხელოვნების ნიმუშები და ერთ-ერთი სკულპტურა, დღეს ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელი ხიდის ტერიტორიაზე განთავსდა. თითოეულ ადამიანს ხელოვნების ნიმუშის საკუთარი აღქმა აქვს და მე ვფიქრობ, რომ ეს ერთგვარი სინთეზია ძველის და ახლის. სიმბოლურია, რომ ეს ნამუშევარი, სწორედ ძველი და ახალი რუსთავის გზაგასაყარზე განთავსდა", - განაცხადა ირაკლი შატაკიშვილმა.

ქანდაკების ავტორი, ბულგარელი სკულპტორი, ხელოვნების მაგისტრია და მას 30-ზე მეტ სიმპოზიუმში აქვს მონაწილეობა მიღებული.

„რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიმდინარე წლის ივნისში გაიმართა. ტრადიცია, რომელსაც გასული საუკუნის 90 იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, წელს, რუსთავის მერის ნინო ლაცაბიძის ინიციატივით აღდგა და რუსთავს 14 საინტერესო სკულპტურა დაუტოვა. ქანდაკებები ქალაქის ქუჩებში განთავსდება. ბულგარელი სკულპტორის ,,ცეკვა ქართან ერთად", რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი-2024- ის ფარგლებში შექმნილი პირველი სკულპტურაა, რომელმაც კუთვნილი ადგილი ქალაქში, უკვე დაიკავა.

რუსთავი-წითელი ხიდისა და ალგეთი-სადახლოს მაგისტრალური გზის მშენებლობაზე საერთაშორისო შესყიდვის წესით ტენდერი გამოცხადდა

რუსთავი-წითელი ხიდისა და ალგეთი-სადახლოს საგზაო მონაკვეთები აღმოსავლეთ-დასავლეთის და სამხრეთ-ჩრდილოეთის საერთაშორისო საავტომობილო დერეფნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც საქართველოს აკავშირებს აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებთან

პროექტის მიხედვით, საერთო ჯამში, აშენდება 61.3 კმ, 4 ზოლიანი, გარე განათების სისტემით უზრუნველყოფილი ბეტონის ჩქაროსნული გზა, 26 ხიდითა და 11 სატრანსპორტო კვანძით, სადაც დაცული იქნება საერთაშორისო საგზაო უსაფრთხოების ყველა აუცილებელი მოთხოვნა

საგზაო მონაკვეთების მშენებლობა დაყოფილია 4 ლოტად, რაზეც გამოცხადდა ორი ტენდერი. სამშენებლო სამუშაოები 2025 წელს დაიწყება და ოთხივე მონაკვეთის მშენებლობა სამუშაოების დაწყებიდან, ეტაპობრივად, 30 თვეში დასრულდება

პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით განხორციელდება, რისთვისაც ევროპის საინვესტიციო ბანკის მხრიდან გამოყოფილია 250 მილიონი ევროს ოდენობის სესხი

მაგისტრალური გზის მონაკვეთების პროექტირების სამუშაოები, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, ჰოლანდიურმა კომპანიამ შეასრულა

ფიქრები საქართველოს მწერალთა 26-ე ყრილობის შემდეგ

კონსტანტინე გამსახურდია მარტო ზუგდიდელების კი არა, სრულიად საქართველოს, მეტიც, მსოფლიო მნიშვნელობის მწერალია!

აქვთ თუ არა თავიანთი სათქმელი რუსთაველ მწერლებს?

ამ საგაზეთო წერილის მკითხველი, ალბათ, გაიმეორებს ცნობილი ქართული ფილმის, „ცისფერი მთების“ მთავარი გმირის კითხვას, რა საჭიროა ორი სათაურიო... მაგრამ, თუ კითხვას გააგრძელებს, დარწმუნდება, რომ ორი სათაური ამ წერილსაც უხდება...

საქართველოს მწერალთა 26-ე ყრილობას უკვე ორ თვეზე მეტი გვაშორებს, მე კი ის განცდა და ფიქრი, რომელიც ყრილობის მსვლელობისას გამიჩნდა, დღემდე არ მტოვებს. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ქალბატონ მაყვალა გონაშვილის საანგარიშო მოხსენების შემდეგ ტრიბუნასთან მიდიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები, მწერლები, რომლებიც ყრილობის მონაწილეებს ამცნობდნენ, განსახილველ პერიოდში რა გააკეთეს, როგორი იყო და არის ლიტერატურული ცხოვრება მათ რეგიონებში, რა ულხინთ და რა სჭირდებათ უკეთ მოღვაწეობისათვის.

სხვისთვის არ ვიცი და, ჩემდა გასაკვირად და სამწუხაროდაც, ყრილობის ტრიბუნიდან, როგორც ყველა წინა (როგორც დელეგატი, მეოთხედ ვესწრებოდი ყრილობას!), ისე ამ ყრილობაზეც არ გაისმა რუსთაველი მწერლების ხმა... სათქმელი კი იყო, იყო... რუსთავში, ქალაქის ხელმძღვანელობის თანადგომითა და მხარდაჭერით, გარკვეული პერიოდულობით, გამოდის ლიტერატურული კრებული „ჩვენ, რუსთაველები“, სადაც გამოქვეყნებულია რუსთავში მცხოვრებ მწერალთა და ლიტერატორთა ნაწარმოებები: ლექსები, მოთხრობები, სამეცნიერო ნაშრომები... შესაბამისად, ტარდება კრებულის ყოველი ახალი ნომრის პრეზენტაცია.ასევე, ქალაქის ხელმძღვანელობის თანადგომითა და მხარდაჭერით, გამოიცემა ცალკეულ ავტორთა წიგნები. მაგალითისათვის, წელს 7 რუსთაველი ავტორის წიგნი გამოიცა. საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელობის ინიციატივითა და ორგანიზებით ეწყობა შეხვედრები დედაქალაქელ მწერლებთან... ეს ცოტა როდია და ყრილობის ტრიბუნიდან სათქმელად ნამდვილად ღირდა... მადლიერების გამოსახატავად და თავმოსაწონებლადაც... რატომაც არა!

მაგრამ, რუსთაველ მწერლებს კიდევ მეტი ყურადღება და ხელშეწყობა რომ გვესაჭიროება და გვინდა კიდევაც, იქვე, ყრილობაზე ესეც რომ გაჟღერებულიყო, ამით თუ არაფერი გაკეთდებოდა, ხომ არც არაფერი დაშავდებოდა... თუ თითოეული ყრილობა მწერლებს ახალსა და სასიკეთოს არაფერს მოუტანს, მაშინ რა საჭიროა მისი მოწვევა, რეგიონებიდან დედაქალაქში იმდენი მწერლის (დელეგატის) ჩამოყვანა, შეკრება და... ბოლოს რა?!.

ისტორია მეორდებაო... ამჯერადაც... და როგორი საოცარი სიზუსტით თუ არა, მსგავსებით მაინც... დავიმოწმებ მცირე ამონარიდს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო“-ში (2019 წ. 28 ივნისი, № 23) გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან – „ძველი სურათები ძველ ჩარჩოში“: „... მიუხედავად წინა ყრილობიდან მიღებული გამოცდილებისა, ახლა რატომღაც იმედი მქონდა, რომ მკვეთრად დაისმებოდა და გაანალიზდებოდა პერიფერიული სამწერლო ორგანიზაციების მუშაობისა და იქ მოღვაწე მწერლების მდგომარეობის საკითხი. მაგრამ... ისევ მაგრამ! და როგორც ასეთ დროს იტყვიან, არაფერი გეტკინოთ, არც არაფერი გეწყინოთ! არადა, პერიფერიებში მცხოვრებ და მოღვაწე მწერლებს როგორ გვაკლია ყურადღება, როგორც საქართველის შემოქმედებითი კავშირის (აიპის), ისე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან“.

ისტორია განმეორდა. დიახ, ასე იყო: რუსთაველი მწერლები წავედით, მივედით, დავესწარით ყრილობას, მოვისმინეთ და... დავბრუნდით შინ!!!

ბოდიში უნდა მოვუხადო მკითხველს ასეთი შედარებისათვის, მაგრამ, გამოდის რომ, დიდი სულხან-საბა ორბელიანივით, რუსთაველმა მწერლებმაც, რაც შევიტანეთ, ისევე ის გამოვიტანეთ... იმან სახელგანთქმულ ვერსალის სასახლიდან, ჩვენ კი თბილისიდან, საქართველოს მწერალთა ყრილობიდან... და ეს უკვე მერამდენედ!

კარგი იქნებოდა, ყრილობის წინ შემდგარიყო რუსთავის მწერალთა ადგილობრივი ორგანიზაციის კრება, რომელიც მოისმენდა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიშს, გასაანალიზებელს გააანალიზებდა, აირჩევდა ყრილობის დელეგატებს, ჩამოყალიბდებოდა საერთო აზრი, თუ რა გვექნებოდა ყრილობაზე სათქმელი... ყრილობის შემდეგაც, რუსთაველი მწერლები ერთმანეთს გაუზიარებდნენ შთაბეჭდილებას, გასააზრებელს გაიაზრებდნენ და სამომავლო გეგმასაც დასახავდნენ... დიახ, კარგი იქნებოდა...

ეს ერთი ტკივილიანი საფიქრალი, რომელიც იქვე, მწერალთა ყრილობაზე გამიჩნდა და დღემდე არ მანებებს თავს და მეორეც, სხვისი არ ვიცი და, პირადად ჩემთვის გასაკვირიც და გასაკვირზე მეტიც... სიტყვით გამოსვლისას ზუგდიდის მწერალთა წარმომადგენელმა (სახელი და გვარი ვერ გავიგონე), საანგარიშო პერიოდში მიღწეული წარმატებები თავმომწონედ (რატომაც არა!) რომ ჩამოთვალა და პირადად მე და, ალბათ, ყრილობის სხვა დელეგატებიც გაგვახარა და, ცოტა არ იყოს, სრულიად ბუნებრივად, თეთრი შურითაც აგვავსო, სამომავლო გეგმებიც გაგვიმხილა... რაო და, ჩვენ, ზუგდიდელმა მწერლებმა, გადავწყვიტეთ, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას იუბილე უნდა გადავიხადოთო...

ამ განცხადებას ყრილობის ყველა დელეგატი მქუხარე ტაშით შეხვდა.. მათთან ერთად, რა თქმა უნდა, მეც... მაგრამ ამჯერადაც მძლია ჩემმა პიროვნულმა თვისებამ და ჩვევამ, ყველაფერს სხვა მხრიდანაც შევხედო... და ჩემთვის გავიფიქრე ის, რასაც ახლა საჯაროდ ვაცხადებ: ძვირფასო, საყვარელო, მისაბაძო ზუგდიდელებო, მეგრელებო, ღვიძლო ქართველებო, თქვენ გენაცვალეთ, ეს რა კარგი რამ მოგიფიქრებიათ და გადაგიწყვეტიათ... დიახ, დღეს საჭირო და აუცილებელია დიდი რომანისტის, ნოველისტის, პუბლიცისტისა და, რაც მთავარზე უმთავრესია, დიდი ქართველის, კონსტანტინე გამსახურდიას იუბილეს აღნიშვნა, კაცისა, ვინც სიტყვითა და კალმით შეუპოვრად იბრძოდა საქართველოს შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ... ისიც ვაღიაროთ: იუბილე, მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გახსენება და შეხსენება, მისი ნათელი ხსოვნისადმი პატივის მიგება იმდენად თავათ (ამ სიტყვას – თავათ – დიდი მოქართულე, ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია და მისი ღირსეული ძე, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, პოეტი, ესეისტი და ლიტერატურათმცოდნე ზვიად გამსახურდია ასე წერდნენ!) კონსტანტინე გამსახურდიას კი არა, დღევანდელ საქართველოს, დღევანდელ ქართველებს გვჭირდება სამაგალითოდ და მისაბაძად... სადღეისო პრობლემებში უკეთ გასარკვევად და სამომავლო გზის გასანათებლად და გასაკვლევად...

მაგრამ! მაგრამ ის, რომ კონსტანტინე გამსახურდიას, დიდი მწერლისა და დიდი ქართველის იუბილე მარტო ზუგდიდელებისა და სამეგრელოში მცხოვრები მწერლების მოსაფიქრებელი, გადასაწყვეტი და ჩასატარებელი როდია...

აბა როგორ და რანაირად და რატომ... თუ ზუგდიდელები და, საერთოდ, სამეგრელო თავის კუთვნილად მიიჩნევს კონსტანტინე გამსახურდიას იუბილეს ჩატარებას, მაშინ რა გამოდის, ყველამ, ქართლელმა, კახელმა, იმერელმა, გურულმა, აჭარელმა, რაჭველმა, ფშავ-ხევსურმა და საქართველოს სხვა მხარეების წარმომადგენლებმა თავიანთ კუთხეში დაბადებული მწერლის იუბილეს აღნიშვნით მოიწონონ თავი და ეგრე დავიყოთ და დავცალ-ცალკევდეთ კუთხეებად და ქალაქებად?/ აქედან რა სიკეთეს უნდა ველოდოთ?

მკლავმოუღლელი და კალამმოუღლელი მწერალი და საქართველოს გულოვანი მეციხოვნე კონსტანტინე გამსახურდია თავისი ნამსახურობით (რაც მის გვარშიც იკითხება: გა... მსახურ...დია!!!) სრულიად საქართველოს საამაყო მწერალია და მისი იუბილე სრულიად საქართველომ, მთელმა ერმა, ქართველობამ უნდა ვიზეიმოთ!

***

რაც შეეხება ყრილობას... როგორც წინა, ისე ამ ყრილობაზეც, დელეგატებს, ვისაც სიტყვით გამოსვლა ერგოთ, არ გამოუხატავთ თავიანთი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით... წინა ყრილობაზე ამის მცდელობა მაინც იყო, თუმცა უშედეგო, მაგრამ მაინც... ამჯერად კი, დელეგატები თითქოს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან კი არა, სულ სხვა სამყაროდან იყვნენ მოსულები და ყრილობაც, მწერალთა ყრილობა, საქართველოში, საქართველოს დედაქალაქში კი არა, სადღაც სხვა პლანეტაზე ტარდებოდა... შეიძლება მწერალს, თუ ის ჭეშმარიტი მწერალია და არა წერასატანილი მომწერლო, მწერლობას მიტმასნებული, არ ჰქონდეს საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენებისადმი, არ იყოს იქ და ისე, როგორც ეს მწერალს მოეთხოვება და იყოს – არსად, არსაიდანელი და არსაითელი? ამიტომ, მწერლებით შევსებული დარბაზის შემხედვარემ, გულდაწყვეტილმა ჩემთვის გავიფიქრე... რამ დამწყვიტა გული და რა გავიფიქრე, სკითხავია?

და კიდევ: იმ დღეს მარტო მე გამიკვირდა გასაკვირი, მარტო მე მეტკინა სატკენი და საწყენიც მარტო მე მეწყინა?

თინათინ სიყმაშვილი

სიზმრებში მშობლიურ სოფელს ვხედავთ

2008 წლის 8 აგვისტო. საბედისწერო თარიღი საქართველოს ისტორიაში, გამოუსწორებელი პოლიტიკური შეცდომა, რომელმაც უდიდესი მსხვერპლი მოიტანა, სამარცხვინო ლაქა, რომელიც აღარასოდეს გადაირეცხება, სამშობლოს მოშორებული ადამიანები, რომლებიც სიზმრებში საკუთარ სახლ-კარს კვლავაც ნახულობენ.

რუსთავში მცხოვრები ლტოლვილები სამაჩაბლოდან, დღეს უკვე ასაკმოძალებული ქალბატონები **მანანა ჯანაშვილი** და **ნანა მაღალდაძე**, როგორც თვითონ ამბობენ, ღამე სიზმრებში ნახულ მშობლიურ სოფლებს – ქემერტს და ერედვს რომ ხედავენ, გულწრფელად ტირიან. მათ საოცრად ენატრებათ მშობლიური სოფლის სანახები და ჯერ კიდევ ვერ იჯერებენ მომხდარს, რომელიც მოულოდნელად ქარიშხალივით ეწვია მათ მხარეს. ომმა გაანადგურა წინაპრებისა და მათი ნაამაგარი, დაწვა, მოშალა, ამოძირკვა მათი სახლები.

...პირველად რაკეტა ჩვენს სოფელში, ჩემს ეზოში ჩამოვარდა. ხორბალი მქონდა გაფენილი ეზოში, ეს იყო არა მხოლოდ სასწაული ხმა, არამედ სულიერად უდიდესი შიშის გამომწვევი. მექანიკურად ხორბლის ხვავის ქვეშ შევძვერი, მეგონა, გადავრჩებოდი. სოფელი ჩემს თვალწინ იბომბებოდა. შვილები მანამდე გამოვუშვი რუსთავში ნათესავებთან. ჩემი მეუღლე კი, რომელიც მანამდე აფხაზეთის ომში იბრძოდა, ამ აგვისტოს ომში სამშობლოს იცავდა და მტრის ტყვიას ემსხვერპლა.

მე ცოცხალმა გამოვასწარი და ჩემმა მეზობლებმაც. ეს იყო ენით აუწერელი საშინელება, იხსენებს მანანა ჯანაშვილი და იმასაც დასძენს, რომ სრულიად ჯანმრთელი და ახალგაზრდა, ამ ამბის შემდეგ დაავადმყოფდა. უამრავი ოპერაცია გადაიტანა და ახლა ასაკში შესული, ერთსღა ნატრობს - სანამ ამ ქვეყანას გაეცლება, ერთხელ მაინც შეავლოს თვალი მშობლიური სოფლის მთა-ბარს.

ნანა მაღალდაძე მშობლიურ ქემერტს იხსენებს – ულამაზესი ბაღჩა-ბაღებით და უსაყვარლესი ადამიანებით სავსეს.

– ვისაც ეს ომი არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს რა ყოფაში ჩავვარდით. ჩემს სამშობლოში ჩემი უპირველესი და პატარა სამშობლო, სოფელი დავკარგე. მენატრება მისი აისი და დაისი, ბაღში და ბოსტანში მუშაობა, იქ მოწეული ვაშლი, ბოსტნეული, ყურძენი...

...გვჭირდებოდა ეს ომი? ვნატრობ, რომ აღარასოდეს განმეორდეს საქართველოში მსგავსი ფაქტი. 2008 წლის აგვისტოს ომი ისტორიის ის მწარე გაკვეთილია, რომელმაც ბევრი რამ უნდა გვასწავლოს საზოგადოებასაც და პოლიტიკოსებსაც. ქართველებს სულ სხვანაირად გვიყვარს დედულ-მამული და მას მხოლოდ ომის დროს კი არა, მშვიდობიან პირობებში უნდა ვიცავდეთ ერთურთის სიყვარულით, გვერდით დგომით, გამტანობით, ერთმანეთის სიცოცხლეს სულს უნდა ვუბერავდეთ. დადგა დრო, რომ ყველამ ერთად ამოვიღოთ ხმა არასწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამო, რომელმაც შესაძლოა, ერთი ნაბიჯით დაგვაშოროს მშვიდობას.

ქართველი ერის სიმცირე ამას ვეღარ აიტანს, საქართველოს გეოგრაფიული ტერიტორია და სახელმწიფოებრივი საზღვრები შაგრენის ტყავივით გაილევა, გადავშენდებით...

მადლობა რუსთავს, რომ შეგვიფარა, გვიპატრონა და დღეს მას უკვე ჩვენს მეორე მშობლიურ ქალაქად მივიჩნევთ. მადლობა ქალაქის ხელმძღვანელობას, ასე რომ ალამაზებს ქალაქს და გულს გვიხარებს, გვითბობს, რუსთავი უკვე ძალიან გვიყვარს.

ვნატრობ, ის დრო დადგეს, როდესაც სამაჩაბლოს დაკარგულ ტერიტორიას უკან დაიბრუნებს საქართველო და ჩემს რუსთაველ ახლობლებს, ყველას, ერთ მშვენიერ დღეს ჩემს სოფელს ვასტუმრებ. იქაურ კამკამა ჰაერს ერთად ჩავისუნთქებთ.

ლია მარტაშვილი

ბედნიერება ხელოვნებაა

წლოვანება – 34. სკოლა – მე-4 საჯარო. წარმოშობით – მესხი. შორენა დათიაშვილი.

საოცარია და იქნებ, არცკი, წერა-კითხვას 4 წლისა ეზიარა. ბავშვობიდან გამოირჩეოდა წერის ნიჭით, რაც მისმა ქართულის მასწავლებელმა,თამარ ჩალაძემ შეამჩნია. ხშირად წერდა ესეებს საყვარელი მასწავლებლის თხოვნით და გასაოცარი მხატვრული წერითი მანერებით მიქონდა მკითხველამდე ეს პატარა ჩანახატები, ნაწერიდან იგრძნობოდა, რომ თითოეული პერსონაჟის თავგადასავალს საკუთარ თავზე ირგებდა.

მოკრძალებულია, ფიქრიანი და ძალიან თეატრალური. ბევრი ნიჭით არის დაჯილდებული, მღერის, ხატავს, წერს, კარგად მეგობრობს უცხო ენებთან, იცის ინგლისური, რუსული, ცოტა აზერბაიჯანული, ცოტა ფრანგული. საკმაოდ სიტყვაძუნწია, ჩემს ბევრ კითხვას თავი აარიდა. მოგზაურობა ჰყვარებია, ჩავკითხე პარიზზე, რა მოეწონა ყველაზე მეტად იმ ქვეყანაში და სრულიად უბრალოდ, ცივად და მოკლედ მიპასუხა, იქ არაფერი მინახავს ისეთი, რაც ჩვენ ქართველებს არ გვაქვს. არადა, პარიზის გული მოიარა. საუბარს სიტყვაძუნწად განაგრძობს, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ღვთისმშობლის ტაძარი მისი იქ ყოფნის დროს დაიწვა.

საფრანგეთში მყოფ მამასთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს, გათამამებული, განებივრებული. მამის საყვარელი შვილი იყო ბავშვობიდან, ცელქი, ონავარი, თარსიც კი (იღიმის) მამაზე თბილად საუბრობს, ამიტომაც ჩავეკითხე, რატომ არ დარჩა პარიზში მასთან, მითუმეტეს, მამამ სთხოვა, რომ სასწავლებელში იქ ჩაებარებინა სამხატვრო განხრით. მხატვრობა თვით მამისთვისაც ოცნების საგანი იყო. შვილსაც მამისგან ერგო ეს ნიჭი და აშკარად იგრძნო, მამას ძლიერ სურდა, შვილის სახით დიდი და ცნობილი მხატვარი გაზრდილიყო.

შორენამ ამ მშვენიერ პერსპექტივაზე უარი თქვა. მისი პასუხი: ფესვებს ვერ მოვწყდი.

– რამე მოგონებებს ხომ არ გაგვიზიარებდი ბავშვობიდან?

– საოცარი ბავშვობა მქონდა, ისეთი, როგორიც თვით ჩემს ქვეყანას იმ პერიოდში.

– თქვენი ძლიერი მხარე?

– იუმორი, ბევრი ტკივილი იუმორით გადამაქვს.

– სხვას არაფერს დაამატებთ? თავს იქნევს და ეშმაკურად მიღიმის, თითქმის, არაფერს.

– რა არის თქვენთვის სამშობლო?

– მეორე გული.

ასე ლაკონური პასუხებით მიშორებს თავიდან, აშკარად შევამჩნიე ერთი საგულისხმო რამ, ვიწრი, მაღალ ყელს საქართველოს დროშის ყელსაბამით იმშვენებს.

საოცრად დახვეწილი მანერები აქვს, საკმაოდ საინტერესო გარეგნობა, ენამოსწრებული და იუმორით სავსეა, ტრანსფორმაციის საოცარი უნარი გააჩნია. სიტყვებზე მეტად მისი მანერები, ჟესტიკულაცია და ეშმაკური თვალები ამბობს სათქმელს. ჯიუტი, თავნება და მკაცრია, ზედმეტად ქარიზმატული, მის თვალებში ხაზგასმულად იკითხება, როგორ უზომოდ უყვარს ადამიანები.

– ამჟამად რას საქმიანობთ?

– სერიოზულად მიმზერს და მოკლედ მპასუხობს, ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანების დიდი სიყვარულით ვარ აღსავსე ყოველდღიურად. პაუზის შემდეგ განაგრძობს, მცირე მეწარმე გახლავართ, დიდ ბიზნესს ვუმიზნებ.

– თქვენი ოცნება?

– აქ რამდენიმე წამს ყოვნდება, ქუჩაში მიმავალ ადამიანებს თვალს აყოლებს და შთაგონებული ტონალობით მპასუხობს.

– იცით, ყოველთვის მინდოდა, სხვა ადამიანების როლი მომერგო, ვოცნებობდი დამედგა ტრაგიკომედია, ვყოფილიყავი კოჭლი ჟოფრეი, ან თუნდაც რომელიმე გმირი, სულერთია, მერე ისევ პაუზა და მტკიცე პასუხი, ჩემი ოცნება მსახიობობაა.

დასძენს, პირველი როლი 5 წლის ასაკში ბაგა-ბაღში ითამაშა, მაშინდელი ყმაწვილური თავმოწონების განწყობა დღემდე მოყვება.

– ვიცი, რომ ხატავთ...

– დიახ.

– ხატვის დროს სად ხართ?

– ჩემთვის სულ სხვა განზომილება იხსნება.

– განსაკუთრებულად რისი ხატვა გიყვართ?

– პორტრეტებს ვქმნი.

– გარემო, სადაც ხატავთ?

– გარემო არ არსებობს, არსებობს შემოქმედებითი მუხტი.

– მხატვრობაში კარგად ერკვევით?

– იღიმის, საერთოდ ვერა. იყო დრო ინტენსიურად ვხატავდი, ჩემს ნახატებს ვყიდდი და მიმაჩნია, რომ იმ პერიოდში მაქსიმალურ შესაძლებლობებს მივაღწიე.

– რა არის თქვენთვის ბედნიერება?

– ბედნიერება ხელოვნებაა და ხელოვნებისათვის სამსახური.

ლია მარტაშვილი

დასასრული

– ბებომ დღესაც დამირეკა.

– მერე რაო?

– უჭირდა ლაპარაკი, მაგრამ ხო იცი, როგორია, ჩემი ხმა რომ გაიგო, წამოენთო.

– პაპა როგორაა?

– ცუდად!

– როგორ იცი ხოლმე სათქმელის მოხლა.

– შენც როგორ იცი ხოლმე. რა ვერ ისწავლე, რაცაა მთელი ცხოვრება იმას ვაკოპირებ.

– მოეშვი მაგ ქარაგმებს. რა მაიმუნი ხარ მართლა. გვეყო ღლიცინი. ეხლა სერიოზულად. როგორაა პაპა? ორივენი ახარხარდნენ. აი ისე, თვალს თვალში რომ გაუყრი იმ ერთ შენნაირ გიჟს და მერე საათობით ხარხარებთ.

– არის რა.

– აჰა ამ, ცოტათი უკეთესი პასუხია.

– ხომ იცი, რომ ბებოს უფრო უჭირს.

– ვიცი.

– ვუთხარი, ჩემთან წამოგიყვან მეთქი, მაგრამ იქ თავისი მოგონებები კლავს. პაპასთან თანაცხოვრების 65 წელი უსრულდება. მაგრამ ისე უყვართ ერთმანეთი. ხომ იცი მათი ისტორია?

– პაპას გაზრდილი ვარ – მახსოვს ის პირველი დღე, ბალერინაზე რომ მიმიყვანა. თასმებს რომ მიკრავდა, კაბის მაქმანებს, თმას რომ მვარცხნიდა, მერე მიკოსავდა, დამიყვავებდა, შუბლზე მკოცნიდა და დიდხანს, დიდხანს კარის ზღურბლამდე მდგარი, არ მაცილებდა თვალს. მე კი ეს უდიდეს ძალას მაძლევდა. ახლა კი არ მინდა წავიდეს, არ მინდაააა!

იმხელა ხმაზე ამოიხრა, ამოაყოლა უდიდესი ტკივილი, რაც შიგნით ჰქონდა და მისმა ხრიალმა გადაფარა სატელეფონი ზარის ხმა, რომელიც საბედისწერო ამბავს იტყობინებოდა.

შორენა დათიაშვილი

მორაგბე

მინდა სამშობლო ვასახელო

ის, რუსთაველი მორაგბე ბორის სიხარულიძე ერთი კვირის წინ რომ გაფრინდა პარიზში, ყოველდღიური წვრთნისათვის ახლა უკვე სავარჯიშო მოედანზეა.

სპორტის ამ სახეობაზე ბავშვობიდან შეყვარებულმა, პირველად იმიტომაც დაიწყო წვრთნა, რომ ჭარბი წონა დაეკლო. მიზანს მიაღწია გამძლეობითა და ნებისყოფით. რუსთავის მორაგბეთა გუნდ „ხარებში“, უკვე ფორმაში ჩადგა და მომავლის წარმატებებზე გაითვალა ოცნებები. სამწუხაროდ, კოვიდმა მასაც მოუსწრო და კარგა ხნით მშობლიურ სოფელს მიაშურა. ჩოხატაურში სოფელ ერკეთში მყოფი, არ დაბნეულა, ძალიან ბევრს მუშაობდა და გამუდმებით ვარჯიშობდა. დედა, ხათუნა გორგაძე, მამა, გივი სიხარულიძე, დები – სოფო და სალომე – არა მხოლოდ გულშემატკივრობენ ძმას, არამედ ყველანი ერთად გამუდმებით უწყობენ ხელს. ბორისმა, რუსთავში რომ ჩამოვიდა, კვლავ ინტენსიური ვარჯიში დაიწყო. ფიზიკური წვრთნისა და გაძლიერებისათვის საკუთარ თავს აიძულებდა, ყოველდღიურად იაღლუჯის მთაზე ასულიყო, ძალიან

დიდხანს ევარჯიშნა და სანიმუშო ფორმაში ჩამდგარიყო. კარგა ხანს მორაგბე გიორგი ჭინჭარაძესთანაც ვარჯიშობდა. გუნდში, პოზიცია მეორე ხაზზე-4-ე გაიარა და კაცთა რაგბშიც გავიდა. მუდმივ მეთვალყურეობას და მეურვეობას ბიძები სოსო და დავით თოდრიები უწევდნენ. ახლა სწორედ მათი ფინანსური ხელშეწყობით წავიდა ბორისი საფრანგეთში ქალაქ ნიცას მორაგბეთა გუნდში წვრთნისათვის, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ლეგიონერების გუნდის მწვრთნელმა მისი მონაცემები ინტერნეტის საშუალებით კარგად შეისწავლა და დაინტერესდა კიდეც ამ ქართველი სპორტსმენით.

მეოცე სკოლადამთავრებული, სრულიად ახალგაზრდა, 19 წლის ბორისი საკუთარ თავში დაჯერებული და მიზანსწრაფულია. 1 მეტრი და 98 სმ სიმაღლე მისი ფიზიკური მონაცემია, რაც ბუნებრივია, ხელს უწყობს თამაშში, მაგრამ ეს არ არის მთავარი. იგი სულიერად ძლიერ მაღალი და გონიერი პიროვნებაა, კარგად აღზრდილი და თავისი ქალაქის ძლიერ მოსიყვარულე. ისიც სათქმელია, რომ ბორისი რელიგიური ახალგაზრდაა, მუდმივად დადის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ყავს მოძღვარი და მიაჩნია, რომ ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება. უზენაესის რწმენით წავიდა ევროპაშიც პრინციპული გადაწყვეტილებით, რომ გახდეს იმგვარი მორაგბე, რომელიც სამშობლოს ასახელებს.

– რა მიაჩნია ადამიანის ცხოვრების საზრისად?

– უფლის გზაზე სიარული, მუდმივად სიკეთეების კეთება და სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვა.

– გულისწყვეტა... საქართველოს რომ ტოვებთ?

– ძალიან ძლიერი, მაგრამ გაგიმხელთ, რომ აქ ბევრჯერ გადავიტანე ფსიქოლოგიური სტრესი, ვერ გამიგეს... დღეში 11-12 საათიანი ვარჯიშების შემდეგ ფსიქიკური ტრამვის მოშორება გამიადვილდა. წავალ, საკუთარ თავს ვეძიებ და ვიპოვი. ერთი რამ ვიცი, ღრმად ვარ დარწმუნებული, ისეთი მორაგბე გავხდები, რომ სამშობლო ვასახელო.

– ვიცი, რომ გყავს ახლო მეგობარი, ეკლესიური ძმა დათო ჭოველიძე.

– კი, ჩვენ ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, მე მას მეგობრად კი არა, ძმად მივიჩნევ, ჩემი მომავალი წარმატებები, ეჭვიც არ მეპარება, მისთვის ყველაზე სასიხარულო იქნება.

ლია მარტაშვილი

ახალი წიგნები

საინტერესო წიგნი ქართული წიგნიერი საზოგადოებისათვის

„წერლები ჩემი ბავშვობიდან“, ასე ქვია გიორგი კეკელიძის ახლახან გამოცემულ წიგნს, რომელიც გამოცემიდან გასაოცრად მოკლე დროში საწიგნე მაღაზიის თაროებიდან გაქრა. ძალიან მოკლედ ავტორის შესახებ: გიორგი კეკელიძე, პოეტი, პროზაიკოსი, ბელეტრისტი, სცენარისტი, უნივერსიტეტის ლექტორი, უამრავი საბიბლიოთეკო და ინტელექტუალური ორგანიზაციის დამაარსებელი საქართველოს სხადასხვა რეგიონში, ძალიან აქტიური და მობილიზებული პიროვნება, იგი ათეული წელი უძღვებოდა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას და ამ უმნიშვნელოვანესი დაწესებულების ნამდვილი ბატონპატრონი იყო, ამ ფრაზის საუკეთესო შინაარსით. მისი პირველი მომცრო წიგნი სახელწოდებით „გურულები“, რამდენიმე წლის წინ რომ გამოვიდა, თავისი თემატური პათოსით აშკარად მიანიშნებდა, ავტორის უსაზღვრო სიყვარულზე სამშობლოს მიმართ, კერძოდ კი საკუთარი ეთნიკური კუთხის, გურიისა და გურულების სიყვარულზე. წიგნს თვით ავტორის ასეთი წანამძღვარი ახლავს „ფრაგმენტული ფრაგმენტები 90-იანების საქართველოს კონსპექტიდან“, დიახ ეს წიგნი ფაქტიურად დღიურებია, რომელიც სამუდამოდ დარჩა ავტორის მეხსიერებას იმ სურვილით, რომ არასოდეს დაეკარგა.

გამოცემის წინასიტყვაობა ლიტერატურისმცოდნე იაგო კაჭკაჭიშვილს ეკუთვნის, აქვე არის მცირე შესავალი წერილი, რომლის ავტორი ქართველთა კოლორიტი ზურაბ შევარდნაძეა. ამ ორივე ავტორის მიერ გიორგი კეკელიძის შემოქმედების მოკლე თუ ვრცელი დახასიათება ბევრს ნიშნავს მკითხველისათვის, რადგანაც მათი მოსაზრებების მთელი ნაკადი შესავალ წერილებში მართალი და უტყუარია.



წიგნი ხელში აღებისთანავე ერთბაშად იკითხება. ერთი იმის გამო, რომ ავტორი უშუალო გულწრფელობით წერს საკუთარ ადამიანურ სისუსტეებზე, თავს გადანახად უალრესად ინტიმურ ეპიზოდზეც, თვითმკვლელობის ცდას რომ ეხება.

მეორე, იმდენად არის მნიშვნელოვანი წიგნი, რამდენადაც ის იძლევა გურიის ეთნოგრაფიულ დახასიათებას, გურული იუმორითა და ამ კუთხის დიალექტით. მესამე, ეს არის წიგნი ჰუმანიზმზე, ადამიანების უსაზღვრო სიყვარულზე. ავტორისათვის ნაკლის მქონე და უნაკლო ადამიანები ერთნაირად ფასობს, მას ბავშვობიდან შეუყვარდა და უყვარს ისინი, რომლებიც წარუშლელ შთაბეჭდილებებს ასე საინტერესოდ უყალიბებდნებენ შემოქმედს.

ესე, ლიტერატურის ეს ჟანრი ავტორისაგან დიდ შემოქმედებით ძალისხმევას მოითხოვს, რომ მომცრო ამბავში ისე ჩატიოს ეპიზოდის დასაწყისი, მოქმედების განვითარება და დასასრული, რომ მკითხველს კითხვის ნიშნები აღარ დაუტოვოს. წაიკითხეთ გიორგი კეკელიძის ეს წიგნი და თავადაც მიხვდებით.

ნიშანდობლივია და ალბათ შემოქმედებითი ინტრიგაც, რომ წიგნში ამბები სათაურების გარეშეა წარმოდგენილი, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ერთ მთლიან რომანს კითხულობთ.

ძალიან საინტერესო მწერლური მიგნებებით, არაჩვეულებრივი პოეტური მეტაფორებით, დახვეწილი ქართული სამწერლო ფრაზოლოგიური წყობით, დასამახსოვრებელი კონტექსტებით — ყველაფერი ეს პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩვენი ულამაზესი სამშობლოს დაფასებას და სიყვარულს გვასწავლის, აღგვაფრთოვანებს და ავტორისეულ დასკვნებსაც ხაზგასმით გვაწვდის.

„სცენები ქმნიან მეხსიერებას“, დიახ, სენტ ეგზიუპერის უტყუარი მოსაზრებისა არ იყოს, ჩვენ ყველანი ჩვენი სიყმაწვილიდან მოვდივართ და ჩვენს სიცოცხლესაც ეს შთაბეჭდილებები კვებავს. გიორგი კეკელიძის ამ ახალი წიგნის გაცნობით ძალიან ბევრს ისწავლის მკითხველი.

ლია მარტაშვილი

ცხოვრებისეული ათი რჩევა, რომლებიც არასოდეს არ უნდა დაივიწყო

1. წარსულს ვერ შეცვლი, იცხოვრე აწმყოში.
2. ზედმეტი არაფერი ვარგა და არც დაგიფასდება!
3. მეგობრების ხარისხი ეძებე და არა რაოდენობა!
4. ენდე, მაგრამ არა ბრმად! გიყვარდეს, მაგრამ არა ზედმეტად!
5. სიმართლის მთქმელი არავის უყვარს!
6. ჭორიკანა ადამიანს ნუ მოუყვები შენზე ნურაფერს!
7. შენს ოჯახზე წინ არასოდეს არავინ დააყენო!
8. არავის იმედი იქონიოთ, საკუთარი თავის და უფლის გარდა!
9. ყველაფერი დროებითია ამ სამყაროში — ტკივილიც და ბედნიერებაც!
10. ადამიანის ბოლომდე გაცნობა არასოდეს მოინდომოთ, რადგან ბოლოს

მაინც ისეთ რამეს აღმოაჩენ მასში, გული გეტკინება.

სიბრძნე, რომელიც უნდა გახსოვდეს:

* საკითხავი ის კი არ არის, არის თუ არა სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ, საკითხავი ის არის, ცოცხალი იყავი თუ არა გარდაცვალებამდე.

ოტია იოსელიანი

* არავის გასცე პასუხი, როცა გაბრაზებული ხარ. არავის არაფერი დაპირდე, როცა ბედნიერი ხარ. არაფერი არ გადაწყვიტო, როცა მოწყენილი ხარ,

ებრაული სიბრძნე

* როცა ფეხზე მყარად დგახარ, მეგობრები იგებენ, ვინ ხარ შენ! როცა ეცემი, შენ იგებ, ვინ არის შენი მეგობარი!

რუმი

* თავი არავის დაამცირებინო, თორემ იცოდე, ადამიანები ეჩვევიან იმას, რომ უფლებასაც აძლევ...
* ყოველთვის დაიცავი საკუთარი ღირსება და ნურასოდეს დაგენანება შენი ცხოვრებიდან იმ ადამიანის ამოშლა, ვინც პატივს არ გცემსო...

გურამ დოჩანაშვილი

* ამ ცხოვრებაში ყველაფრის მოძებნა შეგიძლია, სიყვარულის და სიკვდილის გარდა. ისინი თვითონ მოგძებნიან, როცა ამის დრო მოვა.

განცხადებები, რეკლამა, განცხადებები

გაატარე ზაფხული

გრილად

ავტომანქანების კონდიციონერების შეკეთება და დატუმბვა

უმოკლეს დროში და მისაღებ ფასად!

ტელ: 551 56 12 12 გაგა

ავეჯის და ნებისმიერი ტვირთის გადაზიდვა

საქართველოს ნებისმიერი მიმართულებით.

ტელ: 599 62 33 03

ვიბარებ მაკულატურას მაღალ ფასში

გაზეთი, რვეული, ჟურნალი, წიგნი, ფორმატის (ქსეროქსის) ქაღალდი

მისამართი:

მესხიშვილის მე-2 გასასვლელის №4-თან (ავტოსადგომის ტერიტორია) 10-დან 19 სთ-მდე ტელ: 579 808-818

რუსთავში იყიდება კეთილმოწყობილი 3 ოთახიანი ბინა

ბინა აივნის ხარჯზე 4 ოთახადაა გადაკეთებული. მისამართი: ფალიაშვილის ქუჩა №16, ბინა 46, მე-4 სართული. ფართი 71 კვმ.

ბინა კუთხის მხრიდან გადაყურებს ეკლესიას და შემოსილია ხეებით. სამზარეულო და აბაზანა გაწყობილია კაფელ-მეტლაქში და სრულადაა აღჭურვილი სათანადო ახალი კარადებით და ტექნიკოთ (გაზქურა, მაცივარი). საძინებელი ოთახები და ზალა დაკომპლექტებულია თანამედროვე ავეჯით. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა და გაგრილების სისტემა. ფანჯრები შეცვლილია მეტალოპლასტმასით, შესასვლელი კარი ლითონისაა. კედელზეა ტელევიზორი. ყველა ოთახშია დამონტაჟებული ლუსტრა.

ფასი: 70 ათასი დოლარი. ტელ: 598-99-19-55

რუსთავის მერია გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენებული კულტურის სახლის სრულ რესტავრაცია-რეაბილიტაციას გეგმავს

რუსთავის მერია, კიდევ ერთი ისტორიული შენობის - გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენებული კულტურის სახლის სრულ რესტავრაცია-რეაბილიტაციას გეგმავს. პროექტირება უკვე დასრულებულია და სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის გამოსავლენად, ტენდერი მალე გამოცხადდება.

კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროექტის დეტალები, რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, საქართველოს პარლამენტის წევრებთან - ირაკლი შატაკიშვილთან და ალექსანდრე დალაქიშვილმა ერთად, სამუშაო ფორმატში ადგილზე განიხილა.

პროექტით, შენობის სრული რეაბილიტაციაა განსაზღვრული. განახლდება საკონცერტო დარბაზი, მოეწყობა გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, გახმოვანების, განათების თანამედროვე სისტემა და სასცენო აპარატურა. სარემონტო სამუშაოები ჩატარდება შენობის შიდა ოთახებში, დაგეგმილია სახურავისა და ფასადის რეაბილიტაციაც. შენობის გარე პერიმეტრზე კი დეკორატიული ფილებით და მწვანე სივრცეებით კეთილმოწყობილი დასასვენებელი ზონა მოეწყობა.

კულტურის სახლის ისტორიული ნაგებობა, რომელიც 1948 წელსაა აშენებული, რესტავრაციის შემდეგ, ავთენტურობას შეინარჩუნებს.

პროექტის განხორციელების შემდეგ, უფუნქციოდ დარჩენილი ძველი საბჭოთა შენობის ადგილზე, თანამედროვე მუსიკალური ლაბორატორია შეიქმნება. პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

შპს „გაზეთი რუსთავი“
რუსთავი
დირექტორი ლერი ბარათელი
რედაქტორი თემურ კობახიძე
გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
599 233-390, 599 908-918
e-mail:gazetirustavi@gmail.com
მისამართი: რუსთავი, მეგობრობის 32, სასტუმრო „რუსთავი“, მე-2 სართული